

## განცხადება

**2010 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის**

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი #12; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #144) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2010 წლის 24 მაისის #146/ნ** ბრძანებით დამტკიცებულია **გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამა**. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი **ღონისძიებები**:

1.1. გულის თანდაყოლილი მანკების კარდიოქირურგიული მკურნალობა;

1.2. გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიების კარდიოქირურგიული მკურნალობა;

1.3. კორონარული ანგიოპლასტიკა.

2. ზემოაღნიშნული ბრძანების დანართი #14-ის მე-6 მუხლის შესაბამისად, მოსახლეობისათვის სათანადო მომსახურების მიწოდება ხორციელდება **მოსარგებლეთა ვაუჩერიზაციის გზით**. კარდიოქირურგიის ინდივიდუალური **ვაუჩერის მფლობელს**, პროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიღებისას აქვს **თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა სამედიცინო დაწესებულებებს შორის**.

3. მომსახურების გაწევის ვადაა **10 ივნისიდან 2010 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

4. პროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება:

4.1. გულის თანდაყოლილი მანკებით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ კარდიოქირურგიული მკურნალობა.

4.2. გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიებით დაავადებული **50 წლის** და მეტი ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ კარდიოქირურგიული მკურნალობა.

4.3. **60 წლის** და მეტი ასაკის საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ კორონარული ანგიოპლასტიკა.

**შენიშვნა:** პროგრამის სერვისით ვერ ისარგებლებენ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ- საქართველოს მთავრობის **2009 წლის 9 დეკემბრის #218 დადგენილებით**, „საქართველოს საჯარო სკოლების მასწავლებლებისათვის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის **2007 წლის 21 ნოემბრის #256 დადგენილებით**, „საქართველოს **2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ**“ საქართველოს კანონის **34-ე მუხლის მე-18 პუნქტით** განსაზღვრული მოსარგებლები.

4. გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა სამედიცინო დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #144, მე-3 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამსახური.

5. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე, კონკრეტული **ღონისძიებების** მითითებით;

ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

დ) დაწესებულების სალიცენზიო მოწმობა და/ან ცნობა იმის თაობაზე, რომ დოკუმენტაცია კონკრეტული საქმიანობების მიხედვით შესაბამისობაშია მოყვანილი მოქმედ კანონმდებლობასთან.

**შენიშვნა: განცხადების მე-5 პუნქტის `გ- ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს განცხადების გამოქვეყნების შემდეგი თარიღით.**

7. ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნას ორ ეგზემპლარად – ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, ხოლო მე-2 ეგზემპლარი – ქსეროასლის სახით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსანდრე მამალაძე, ლალი დევიძე, გულსუნდა ონიანი ტელ.: **454080, 454090**; მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი # **144**, მე-3 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამსახური.